

FS

2104

УДК 62-50
62-50


3. 320 231.

2184



202

1



[Faint handwritten notes in Armenian]

[Faint handwritten word]

Արարիկ Գրական.

15.10

Գրական և հասարակ
գիտությունների Գրական

20 53306/187

899.962.1-1



8CP-1

კილოს მიმოქცევა.

(პლეშჩევიდამ)

F-202

...თიბეცა...
სეულე რიბუიფსი...
...თიბეცა...

ვინაც დაგესწროთ გზაზე აედარი,
ვინაც ჩვენ შორის აღარ ხართ დღესა,
ყველას გულითადს სალამს გიგზავნი
და მოგილოცავ თან ახალსა წელსა.
დაე სალამი ამ ჩემ მოლოცვით
მქროლეთ ნიაფმა თან წარიტაცოს,—
და თქვენ, წაღებულს ცხოვრების დღეღვით,
შორს ქვეყანაში მსწრაფლ მოგიტანოს!

ყველას ვინაც მტრობ უმართლოებას,
ვინც აღუდგები, ჰსცემ ბოროტებას
და მორჩილებით თავს არა უხრი
ჩვეულებრივსა მათ საძაგლებას,—

30 ქვ. (15411) [9.11]

ყველას გიგზანნი ამავე სალამსა
 და ვისურვი, რომ წელსაც ახალსა
 მოეცეს თქვენთვის ძალა ბრძოლისა,
 უბედობაშიც სიმხნე სულისა!

II

ზალა გაივსო დღეს კაცებიტა...
 აქ ყველაფერი სიმდიდრით ელავს!
 და ერთმანერთსა აღტაცებიტა
 ყველა ახალსა წელსა ულოცავს,
 რა ზომიერად, რა ზრდილობიტა
 და თავ-დაქერით არიან ამ დროს!
 გამოწყულია სულ დრამობიტა
 სიტყვა, მიმოხრა ამ მოლოცვის დროს!

რა საუცხოვო და რა ნაზია
 აქ ყოფა-ქცევა და საუბარი:
 არც ერთს აქ მყოფსა არ უკადრია
 ფიცხი მიმოხრა, ან ხმა მაღალი!...

უცებ იქუნა ბალის მუზიკამ,
 ლაპარაკისა ხმა აღარ ისმის;

! ოჰ, რა მეწყინა!... არ დამაცალა
ყურის-დაგდება ბრძნულ მუსაიფის.

თორემ დილამდის ლმობიერებით
სულ ვისმენდი აქ ამათ ყბედობას
მაწედ, თუ როგორ წახდა ზნეობით
ახალ-გაზდობა ამ ჩვენს დროებას.

აი მოხუცი, თეთრ თმით შემკული,
რა გულ-მხურვალედ დარდობს იმასა,
რომ: „ყმაწვილები გარდარეულან,
„არ აფასებენ... ჩინსა და ჯვარსა!

„რაც წმინდა არის და მშვენიერი,
„ყველას ისინი ლაფითა სერიან;
„და ჩვენ მეტადრე მას უნდა ვსწუხდეთ,
„რომ ისინი ზნით წამხდარ არიან.

„ყველა მათგანი ჩემობს გრაქობას,
„იგონებს გლეხის უბედურებას
„და კანონითა დედა-მიწაზედ
„გლეხებსაც ჩვენებრს აძლევს უფლებას!“

ოქროს პირი აქვს უთუოდ ამ კაცს!
 სიხარულითა გული მიფეთქავს,
 როს მაგონდება, რომ მრთელ წელიწადს
 უნდა ვუყურო ამგვარ საუბარს.

III

არ დაივიწყო, რომ ვალი გადევს
 მისი, ვინც ობლად, ღარიბად არი,
 ვისც გაჭირების უღელი აწევს,
 ვინც მწუხარია, მკლე და ფერ-მკრთალი!
 არ დაივიწყო, რომ ზეცამ მსგავსი
 მოგცათ ორივეს წმინდა უფლება
 მაზედ, ჩითაც არს ეს დღე ძვირფასი,
 რაც არს ამ სოფლის კმაყოფილება!

არ დაივიწყო ის მოწამებიც,
 ვისაც გვირგვინი ეკლის დაადგეს,
 როცა ისინი ხალხს გზას უკვლევდნენ —
 რომ აღორძინდესო, ახალ გზას დაჰდგეს!
 და ნუ გშურს, ძმაო, რომ შენს სახლშია



დაქანცულებსა წმინდა ბრძოლითა
 ტანჯვის მაღაპო, ღვლეის დროს ბინა
 მისცე ერთგულის, ძმურის ხევენითა!

ინტენსიური კვლევების საფუძველზე აღმოჩენილი ძეგლები

(ინტენსიური კვლევის შედეგად)

დაქანცულებსა წმინდა ბრძოლითა
 ტანჯვის მაღაპო, ღვლეის დროს ბინა
 მისცე ერთგულის, ძმურის ხევენითა!

ქართული სახალხო კოლეჯია

(გლეხური სიმღერები, ძველი მესტირული ლექსები
და მდაბიური ანდაზები.)

ამ უკანასკნელ დროში, ზოგიერთთა პირთა განიძრახეს დიახ სასარგებლო და ჩვენთვის სასიამოვნო აზრი: ძველებური მდაბიური სიმღერების, ლექსების და ანდაზების შეკრება, რომელნიც გლეხებმა და სხვათა მრავალთა ჯერჯერობით ზეპირათ იციან და წერილით კი არსად გვევლევება.—ყოველი მოყვარული მშობლის დედა-ენისა და ქართულის ლიტერატურისა უნდა დაეჩქაროს და იმეცადინეოს შეკრებისათვის ესე გვართა, ვიდრე იგინი, ჯერ კიდენ, სრულებით არ დავიწყებია ხალხსა.

ილია ჭავჭავაძემ გვიჩვენა რაოდენიმე ნიმუში გლეხების სიმღერებისა და პ. უმიკაშვილი კი ამზადებს ცალკე გამოსაცემათ

მისგან შეგროვებულს ძველს სიმღერებს და ჩვენც მოუთმენლათ მოველით ამ გამოცემას.

ურიგო არ იქნება, რომ სიმღერების შემკრებელთ ითაგონ შეგროვება: ზღაპრებისა, მე-სტვირული ლექსებისა, ანდაზებისა, გამოცანებისა და სხვათა ამ გვართა, რადგან მათში ხშირათ გამოსჭვირს ბევრი მოსწრებული სიტყვა და აზრი, კეთილშობილური გრძნობა და ჩვეულება ხალხისა; ისმის მათში ნამდვილი ქართული ენის ბრუნვა და მიმოხერა და, დასასრულ, ზოგიერთი მათგანი დაგვემსახურებიან ისტორიულ მასალებათაც...

ჩემის მხრით წარუდგენ მკითხველებს შემდეგთა შეგროვებულთა ჩემმიერ ძველებურს სახალხო ლექსებს, სიმღერებს და ანდაზებს და ალაგ-ალაგ დაერთაე, აღსახსნელადაც, განმარტებასა, თუ როდის და რა შემთხვევაში იხმარებიან ზოგიერთნი მათგანი:

1
 „ქალო ანაო, ბანაო,
 ხელ-პირი დაგებანაო,
 შენი ხელ-პირის ნაბანი
 ავქალას ჩამომდგარაო,
 სამი ავქალა აესილა,
 მეოთხეს გადამდგარაო,
 შიგ დიაკვანი დამხეჩვალა
 საბრალო დედის ერთაო,
 გაღმა ეძებენ ნაეითა,
 გამოღმა ოქროს კაეითა,
 ღბოფეს, გამოიტანეს,
 პირი ამსოდა შლამითა,
 ქოჩორი ჩალა-ბუღიითა...
 იმისი დედა მარიაშ
 შეღებულიყო შაეითა,
 წინ ქალი შემოეყარა:
 „დედავ სად მიხვალ შაეითა?“
 — „ნეტავი არა მკითხვავდე,
 შეილი მომიკლეს დანითა,

ანდაზედ ჩამოძიკიღეს,
მაყურებინეს თვალითა!...“

I

შვილი ამოვბს სიზმარს და დედა კი უხს-
ნის.

(იავ-ნანის ხმაზედ.)

შვილი. „ალვის-ხე წამოქცეულა, დედავ, რაჲ, რაო?“

დედა. — „ის ხომ შენი ტანი არის, ვაჲ შენს დედასაო!..“

შვილი. „შტოვები ჩამოსცვიენია, დედავ, რაჲ, რაო?“

დედა. — „ის ხომ შენი მკლავებია, ვაჲ შენს დედასაო!..“

შვილი. „ორი შტრეღა შამომჯღარა, დედავ, რაჲ, რაო?“

დედა. — „ის ხომ შენი თვალებია, ვაჲ შენს დედასაო!..“

შვილი. „ერთი ჩიტიც მიფრინავდა, დედავ, რაჲ, რაო?“

დედა. — „ის ხომ შენი სული არის, ვაჲ შენს დედასაო!..“

შვილი. „წყალს კიდობანი მოჰქონდა, დედავ, რაჲ, რაო“

დედა. — „ის ხომ შენი კუბო არის, ვაჲ შენს დედასაო!..“

III

„ბაღჩაშია გადფიხედ, ქალი ვნახე მწოლიარე,
თავით ედგა თეთრი ვაშლი, ფერხაით უფრო მსხმოიარე.“

IV

„მინდორშია თეთრი ქვაო, ავწიე და არ ამყვაო,
 ქალო შენი სიყვარული, საცა წაველ, თან წამყვაო.“

V

„ჰეერო, ჰეერო, ჩიკრიკო და მწყერო!
 ჩიკრიკისა მთაზედა,
 გველი იწვა ქვაზედა,
 მიველ ტყავი აეხადე,
 შიგ აბაზი ვაპოვე,
 წაველ დედას ვახარე,
 დედაძ კვერი დამიკრა,
 მამამ ტყეში წაიღო,
 იმან გვრიტი მომგვარა,
 გვრიტმა კვერცხი დამიღო,
 ამიგორდა, ჩამიგორდა,
 ხუცის ცოლთან მიმიგორდა,
 ხუცის ცოლი შინ არ იყო,
 კარს უკანა ფურსა სწველდა,
 ფურმა წიხლი გაიქნია,

ჯამ-ქურჭელი დაუმტერია,
 პატარძალი გაგულისდა,
 ცხრა ყმაწვილი აატირა,
 თიშო ვაშლი დაურიგა,
 ისევ თვითონ დაჩუმა.“

VI

(იგივე ლექსი სხვა ნაირათ.)

ერთი მე ვკარ, ერთი ჩემმა დობილმა,
 დობილს თვალი გაჰვარდა,
 კალათაში ჩაეარდა,
 წაველ დედას ვახარე, (!)
 დედამ კვერი დამიკრა,
 მამამ ტყეში წაიღო,
 იმან გვრიტი მომგვარა,
 გვრიტმა კვერცხი დამიღო,
 ავაგორე, ჩავაგორე,
 ხუცის ცოლთან მივაგორე,
 ხუცის ცოლი შინ არ იყო,
 კარებს უკან თავს იბანდა,
 ერთი ასეთი გ უა,

ცხრა ბორბალი დააბრუნა,
 ჯამ-ჭურჭელი დაამტვრია,
 ყმაწვილები დააღვიძა.“

VII

(იგივე ლექსი სხვა ნაირათ.)

აგრე, აგრე მთაზედა,
 გველი იწევა ქვაზედა,
 მიველ ტყავი გავხადე,
 შიგ აბაზი ვიპოვე,
 წაველ დედას ვახარე*..... და სხვანი.
 (ბოლო ისეთი, როგორც სხვების.)

VIII

(მშობიარეს დაუსხდებიან ქალები და უმღერენ)

მზე შინაო, მზე შინაო, მზე შინ შემოდიო!..
 მზე ლაწვა და მთვარე შობა, მზე შინ შემოდიო!..
 იაკუნდის მარანშია, მზე შინ შემოდიო!..
 ვაჟის მამა შინ არ არის, მზე შინ შემოდიო!..
 ქალაქს არის აკვინისათვის, მზე შინ შემოდიო!..
 აკვინის იარალისათვის, მზე შინ შემოდიო!..“

IX

(უქმე დღეს სოფლის ქალები იმღერიან, ტაშს უკვ-
რენ და ბანს მოსძახიან; ერთი კი მათგანი დაუვლის,
ცეკვავს და თან ამბობს ამ ლექსს:)

„ლე, ლე, ლეკურ-კაბა!

დედამ კაბა შამიკრა, დარაია ხრიალაო,

წითელი ქობა მოავლო, ბუზმენტები წკრიალაო...

აბა მაზლო შამომხედე, როგორ მადგა ტან'შიაო?..“

— „ღმერთმა შენცა შეგარცხინა, შენი კაბის არ'შიაო!..“

„გაგარ ხელი, გაეხადე, ჩადე ზანდუკა'შიაო,

ნაპერწყალი ჩაყოლოდა სახელ აზლუტაშიაო,

მეორე დღეს ამოვიღე, ფერფლი მეცა თვალშიაო,

დავჯექ და ბეჭი ვიტირე, არ გამოველ კარშიაო!..“

X

(ამ გვართვე სოფლის ქალებისგან ტაშის კვრა, ხო-
ლო სხვები არ იმღერიან, მართო მოცეკვარის მეტი,
რომელიც დაუვლის და ამ სიტყვებს დასძახის:)

„ზეცას ეყავ, ზეცა ვნახე,

ვარსკლავებსა დავეძრახე...

მთარემ კაცი მომიგზავნა:

„აქ იყავ და არა მნახე?..“

„— შენმა მზემა, არ მეცალა:

ყმაწვილის ქუდსა ვკერავდი,—

შიგნით უვლებდი არშიას,

გარედგან ოქრო-მკერდამდი...“

XI

„ეო, მეო, ძმაო დემეტრო,

წმინდის გიორგის კარები, როგორ გააღეო?...“

— „ხეოა შეეყავ, ვაჯაყჯაყე: კლიტე გავტენეო,

მღვდელმა კარებზე მომასწრო, თოფი დამცა მეო,

სისხლიანი ახალუხი კარს უკანა ძეო,

ადე, დაო, და გარეცხე, ღობეს მიჭუინეო,

ბანზედ ქოჩორი ჰუენია, აღი, აკრიფეო“...

XII

(სოფლის ქალები ორ კერძოთ გაიყოფიან: ერთი პირი ცალმხარეს დადგება და მეორე პირი — მეორე-

მხარეს, მათ პირდაპირ და დაიწყებენ სიმღერას, ასე რომ, ჯერ რომ ერთი მხარე იტყვის სიმღერით ლექსს, თან სკუპით წინ წაიწევენ და მეორე მხარე რომ პასუხს ეტყვის იმნაირათვე, პირველნი უკან დაიწევენ იმ დროს. — ხელი ხელთ კი აქვთ ჩველებული იმ დროს ქალებს ერთმანერთისაგან.)

პირველი მხარე.

„ა ნიშანი, მოგვე ქალი, გულას გარდამაო
მეორე მხარე.

— „არც მოგცემთ და არ ვიკადრებთ, თამარ კარგა
გვყავო!...

პირველი

„მეძროხის ცოლათ მინდოდა, გულას გარდამაო!...
მეორე

— „მეძროხე ნებეიანია, თამარ კარგა გვყავო!...

„მემცხვარის ცოლათ მინდოდა, და სხე.

— „მეცხვარე კურკლიანია და სხე.

„მეღორის ცოლათ მინდოდა,

— „მეღორე ტილიანია,

„მემატის ცოლათ მინდოდა,

— „მემატე სკინტლიანია,



- „მამე თორემ მოვიტაცებ,“
 — „ვერც მოხვალ და ვერც ხელს დახლებ,“
 „ნიშანი მოგვითანია,
 — „არ გვინდა შენი ნიშანი,
 „ასის თუმნის თარხა არის,
 — „არც შაურის ძონძებია,
 „ზანდუხაში ნადებია,
 — „სანაწევზე ნადებია,
 „შენი ქალი—თაროს თაფვი,
 — „შენი ვაჟი—მუხის კუნძი,
 „ხაზვის თარხი, მოგიჩორდი,
 — „მოველი და მოვიტაცი,
 (აქ მისცვივიან და ქალს წაართმევენ მეორე მხარეს.)“

XIII

„მე აქედან ვერა გხედამ ველი მიფარებს წინარე,
 შენისა სურვილისაგან დაბნედილივარ მძინარე,
 სურვალმან ასე გამხადა, წამოველ ველარ ვიარე,
 ეს ჩემი თავი მოგიკვდა, მოკითხვა დაგიგვიანე;
 აქედამ: ვერა გხედავ ნისლისა და ბურისგან,

კაცი შემიჯერებია, ქალო, შენის კითხვისაგან...
 შენ უჩემოთ როგორა სძლებ, მიკვირს შენი გულისაგან!
 მოძულებას არ მოველი შენის კარგის თავისაგან;—
 მომიძულებ? კარგათ მეყვანდე, მე მკვირს ჩემი ბედისაგან,
 ავთა ვარ, მოდი მნახე, თან წაშალი მომიტანე,
 თუ რომ მოვკვდე, დამიტირე, ცხარე ცრემლი დამაყარე
 შენი ქოჩრის ნაგლეჯები, დამწვარ გულზედ დამაყარე,
 სამარის კარს მიმიტანე, მუჭით მიწა მომაყარე...“

XIV

„ირემო მთასა მუვირალო, ვინ ჩამოგადლო ბარათა?
 — ჩემი მეუღლე მომიკვდა, დავიარები ცალათა...“

XV

„ეო, მეო, ქალო-ქალთა მზეო,
 შენი ძმების ლხენასა,
 წისქვილს ჩამომყეო,
 წისქვილს უკან ქალა არის,
 ქალას უკან — ტყეო,
 ფური მგელმა შამიქამა,
 ხბო იდახის: „ბეო!...“

FS

2104



XVI

„ა, ქლო მძივი, რა მძივი, სათმეურისა მინაო...“

— „არ მინდა, შენი ჭირიმე, მიჯაერდებიან შინაო: ქმარი მცემს, მაზლი მაგინებს, მული მიღესამს დანას, თუ დედამთილმაც შამიტყო, გამომასალმებს ყველასა...“

„ა, ქლო, ვაშლი, რა ვაშლი, უბეს ნადები, ნასეტყვი...“

ამალამ შენთან წამოვალ,

XIX

— გულის ჭირიმე, რას გეტყვი?...“

XVII

„ქალი წავიდა წყალზედა, თან გავადევნე თვალია, აავსო კოკა, კუტალი, შიგ გაუყარა თმანია, მიდის და მიდუღუნებდა: „ღმერთო მომიკალ ქმარია! არ დამიგრიხა საბელი, მიწყდება გიშრის თმანია...“

XVIII

„რავექნა, რა უყო თავსაო, მერმე პატარა ქმარსაო, არ შაუქლიან შენახვა, არც დამანებებს თავსაო...“

XIX

„აი მთაზედა, თოვლიანზედა,
 ია დაეთესე, ვარდი მოსულა,
 ია კოჭამდის, ვარდი მუხლამდის;
 სიძე სიმამრი ტყეს ნადირობდნენ,
 სიმამრმა სტყორცნა სიძე კი მოკლა...“
 — შეილო თამარო,
 როგორ მოგივალ?
 — ქმარი მოგიკალ!...“

XX

„ქალო, ქალო შეე თვალო,
 ბიჭმა შამოგითვალო;
 ან მამე ჩემი დანაო,
 ან წამიყვანე თანაო.“

XXI

„ესე წიგნი კრელიაო,
 შენთვის მომიწერიაო,



გენაცვალე ნუ გამიშვებ,
სიყვარული ძნელიაო...“

XXII

„ადგილზედ ფეტი და მებნა, ვინ აჰკრეფს წიწილის
მეტი? —
მე და შენსა სიყვარულსა რა გაჰყრის სიკვდილის
მეტი?“

XXIII

„ქალ-პატარძალი ტიროდა ქართლისა შუა გზასაო,
დაეყარე წვრილი შვილები, ვერ გამოვასხი ზღვასაო,
იმისი სული კრულია, რა ქალიც ენდოს ქმარსაო:
კობტასა, ამპარტავენსა, აზნაურისა ყმასაო;
წუხელის ლაშქრით მომიხტა, შუა ღამისა ხანსაო,
შორიდამ შამამიძახა: „რათ არ გამიღებ კარსაო?!“
— ავდექ, ავანთე სანთელი, მივარდი გვერდის კარსაო,
ოქროსა სკამი დაუდგი, — დაბრძანდი ღმრთისა მადლსაო..
— მე, „ღვთისი, ღვთისი“ რა ვიცი, თათრულათ მო-
გქრი თავსაო!..“
ავდექ და გამოვიპარე, ამ უგზო-უკვლო, გზასაო...“



XXIV

„ქალო თამარო, მინდორს გეძინა,
ზედ რა გეხურა? — „ზარი, ზარბაბი...“

„მოველ აგხადე, საპი ვაკოცე,
სამმა კოცნამა ფერი გიცვალა,

ფერმა ნაცვალმა წიგნი დაწერა...“

ახ, ვის მისწერა? — „დავით მეფესა.“

„რითი დაწერა? — „ბროლის თითითა.“

„შიგ რა ჩაწერა? — „დიბა, ატლასი...“

„რითი ვაგზავნა? — „ნიაფ-ქართა.“

„რით წაიკითხა? — „სისხლას ცრემლითა!..“

XXV

„მე ზემოდამე წამოველ,

გადმოვეყე ქორებს ქროლასა,

აქ უარესსა შაფესწარ

რძალ-დედამთილის ბრძოლასა;

უფროსი რძალი დედამთილს

თავსა უგლიდა კერასა,

უნცროსი რძალი იძახის:

„ღმერთი გაგიწყრათ ყველასა!...“

XXVI

„კურღელმა თქვა: „ჩიქში ვზივარ, ვერვინ მოვა ჩემზედო,
შავიხედე სერზედო, ბატონი ზის ცხენზედო,
წინ მეძებრები მოუძღვის დაგეშილი ჩენზედო,
ერთმა წუწკმა მეძებარმა კბილი გამკრა გვერდზედო,
გამწიეს და გამომწიეს, ჩამომკიდეს ცხენზედო,
მშვარეულებს მიმაბარეს, „კარგათ შაწვით ცეცხლზედო.“
იმ მამაძალს მშვარეულებს, რა ყოფა აქეთ ჩემზედო..
ცალი გვერდი ცეცხლმა დამწო, ცალი ერბოს ცხებათო
ამარიგეს, ჩამარიგეს წვრილ-წვრილ ლამბაქებზედო,
ხორცი ხორცათ შემიკამეს, ძვლებს იმტვრევენ ცერზედო.“

XXVII

(შემოვიდა გლეხის ქორწილში ერთი მოხუშარი კაცი, ღვინო მიაგებეს და უთხრეს: „აბა დემეტრე ერთი დაილოცე!..“

ქართული სახალხო პოეზია

დემეტრემ აიღო ყანწი ხელში და (მოჰყვა:)

„ეო, მეო, კაწალხეო,

წინ მინდორი, უკან ტყეო.

მოურავი აღდგებდლოს, ნაცვალს მ'ე დიდი დღეო,

გზირი, რაღა ჩანჩაღაა, იმის ცოლს ზეი შ...ეო! (თუ ვაკოცეო?)

XXVIII

— „აბა, დემეტრე, ერთი გამოცანა თქვი.

„ბატონი ხარ!

— „გამოცანა! მოგახსენებ, დიდი არაფერი
არაო; ზოგან წითელ, ზოგან ყვითელ, ზოგან
ჩალისფერიო.“

— ეგ ხომ ხალიჩაა, შეილო? ჰკითხა ერთმა
გლეხთაგან: „აბა სხვა თქვი, რომ ვერ
გავიგოთ.

— „ვეიტყვი, მომე ქალაქი, თუ ვერ გავიგო.

— მომიცნა.

— „მაშ ყური მიგდე.

„ეს რა არის, მასრა არის,

მასრას უკან კასრა არის,

კასრას უკან კალოა,

კალოს უკან კვიცია,

კალო მოჭედილია,

კვიცი გაკრეჭილია...“

— „აბა, გამოიცან.

— არ ვიცი.

„ მოდი ქალაქო ჩემთანა, ხელი არვის აქვს შენთანა, სანთელ-საკმელი ღეთის წინა, ავლადიდება ჩემ წინა, წაიქცა ფურცელი, ლექებს გაუსკდა მუცელი.... დიამც იყო: მთვარე...“

XXIX

— აბა ახლა ზღაპარი თქვი.

— „ბატონი ხარ.

„იყო და არა იყო რა,—ღეთის უკეთესი რა იქნებოდა,—იყო ერთი გუთნის-ღედა...ხო-დაბუნნი ჰქონდა მოსახნაფი, ადგა და წაიღო სახნის-საკვეთი, წყალზედ, დასალობათ, რომ მეორე ღღეს კარგა ვხნაფო...“

(აქ ღემეტრე ღიღხანს გაჩუმდა)

ქართული სახალხო პოეზია

— მერე? — ჰკითხეს აქეთ-იქიდგან.

— „მოიცათ, ჯერ დალბეს და!...“

— რკინას, რა დაალობებს?.. ე, ოჯახ დაქ-
ცეული, რას არ მოიგონებს?!..

— გათავდა?!..

— „გათავდა...“ ელასა, მელასა, ჭიქა მკი-
დია ყელასა, მთქმელსა და გამგონებელსა,
ძილი გაამოსთ ყველასა...“

XXX

(მესტირულები.)

„დაუკარ, ჩემო ქამანჩე, დაუკარ ტყბილსა ხმაზედა!..
იმერეთისა მთაზედა, ქალი ვიპოვნე ქვაზედა,
ამოვეკარ ტყიპიფითა, ბიჭი შევექენ გერიტიფითა,
მენახირეს მივაბარე, არ მომიკლა სიციფითა,
უშობელსა წიხლი ეკრა, გაეხეთქა ტიკიფითა,
ტიკი-ტიკათ გამომაღვა, პოლორჭიკი — საკრავათა...“

XXXI

„ერეკლემ ხმალი აიღო საქრისტიანოს გულისდა,
ერეკლეს ქართველთ ბატონსა, ღვთით ხმალიც აუღიაო,



ქართლი შეყარა, ქალაქი თავი-თავს მოუყარაო,
 გააღო ფანჯარავეები, წიგნებიც გადუშლიაო,
 დიდის ჯარების თაობა ერეკლეს აუღიაო,
 ერეკლემ ხერხებ იგონა, ჯერ არვის შაუტყვიაო,
 რკინის ააგო ურმები, ზარბაზნებ დაუწყვიაო,
 საცა დიდ-დიდი წყლებია, ხიდებიც გადუდვიაო,
 წერაქვებიც ხომ აუღივ, სამი კლდეც გადუჭრიაო,
 ქურთის მოსახარეს ქალაქი, ხაზინაც წაუღიაო,
 მანდით წადებულ ხაზინა თელავში დაუწყვიაო,
 კოხტა *) მორბოდა ბელადი, ნეტა რას შაუშლიაო?
 ერეკლემ შემოუძახა: „რა თავი აგიგღიაო?...
 შენისთანა გულხადარა კაცად არ ჩამიგღიაო!..“
 ხმალი შამოჭკრა ერეკლემ, თავი წინ გადუგღიაო,
 თოფიც უჭირამს სიათა, ჯერაც არ დაუცლიაო...
 იქ ახალციხეს მიუხნდა, თათრებს რა შაუდღიანო,
 ციხე გატეხეს ახალი, ძე აღარ გაუშვიაო,
 იმდენი ხმლითაც არ ხოცეს, რაც რომ წყალს დაუ-
 ხჩვიაო,
 სამოცდა სამი თათარი ჩინჩხილში გადუყრიაო.

*) კოხტა — სახელი ლეკთა მოწინავე ბელადისა.



თვლიც უჭირავს ქვეყანას კოხიო *) გაირჯებო,
 დიდის ბატონის ჯარშიდა, წინ ვერვინ წაუდგებო,
 ბატონის თვალი სწყალობდა, ბატონს არ მოუკედებო,
 ნაკულა ქუიძეს შვილი, რა კანჯარივით ხტებო,
 შვიდი დაკაფა ხმალ და ხმალ, რიგი ხანჯალზედ დგებო...

ემაგის მოშაირენი დავზდილვართ ლორებშიგაო,
 ორნივე ძმანი ტყვეთა ვართ მისრეთის ქალაქშიგაო,
 წირვა-ლოცვა ჩვენც გვეყვარდა სიონის საყდრებშიგაო,
 ახლა ჩვენც მოხვლას ვაპირებთ, მანდ თავის ადგილშიგაო,
 გიორგის ხელში ვაკოცავთ, ერეკლეს მუხლებშიდაო...

ერეკლე ბატონის შვილი ტანად დაბალი ყმაია,
 ტანთ ჯაჭვ აცვია ფეთქაი, შესახედავით მზეარსო,
 მხართ შუბი აძა დარაზმა წარეგდა თათრის ჯარშია,
 ასი ცხენს წააღებინა, ასიც კარავში წახვია,

*) კოხიო — სახელი თუშისა, გვარად ყოფილა ბო-
 ბლიაშვილი, წოვის თემისა.*

შიგნიდგან გულიც რკინა აქვს, გარედგან სალიკლდე არსა,
აგრე დაქცევს ციხესა, როგორც ფუტური ხე არსა...^ა

—

(ეს მისტვირული ლექსები სიტყვითი სიტყვით, გა-
უსწორებლივ, დავსწერე მესტვირისაგან 1852 წელში;
ამ უკანასკნელს თითქოს ბოლო აკლიაო, მაგრამ, მე-
ტი არც მესტვირემ იცოდა.—სამიოდე საზანდრული
ლექსი კიდევა მაქვს შემდეგისათვის).

XXXII

(ძველებური ანდაზები)

მოჩქარეს მოუგვიანდეს.

*

გინდა მგელს შეუქამია, გინდა მგლისფერს
ძაღლსა.

*

ვინც ლამე ხნა, ისიც მოკვდა.

*

ქალსა დედა გაუშინჯე, სამოსელსა—ნაწი-
ბური:

*

ქინქრის ადგილს ქინქარი ჰამოვა.

*

ყველა ქვეყნათა რიგდება და ცოლ-ქმრო-
ბა ზეცასაო.

*

შეხეთქებული ქირისუფალი მალე გადაი-
გლოვს.

*

მანამ ხმალი მოვიდოდა, ენამ თავი მოს-
ქრაო.

*

დილის ლუკმა ცოლის მზითევს სჯობიაო.

*

სისხლი სისხლით არ დაიბანება.

*

მკედარს ლომს ცოცხალი ძაღლი სჯობია.

*

გაუთლელი სჯობს აღმასი გათლილსა თი-
რუზანასა.

*

--ასი დამკარ და ერთი მართალი მათქმევიწე.

*

კაცმა ქირი მალა, ქირმა თავი არ დამალა.

*

ბუმბულს მანამ ქარი არ შეუბერავს, თავის თავი მძიმე ჰგონია.

*

— „ობოლო, ვის მოჰკლამო?—ვინც გამზარდაო.

*

ვერიდებოდი ლოლოსა, დამიხვდა მინდერის ბოლოსა.

*

კაცი კაცის მტერია, ძალლი კი ერთგული.“

*

„თინოვძე მტრობს ძიულოვ მტელს ძიულოვ“



იქნება, ჩვენმა მაგალითმა სხვანიც გამოიწვიოს ამ გვარისავე შრომისათვის, და სამუდამოთ არ დაუკარგოს ჩვენს ლიტერატურას ძველებური სახალხო ლექსების ნიმუშები... ღმერთმა იწებოს!

რაფიელ ერისთავი.

